სავსე ტრიბუნების წინ

გუშინწინ თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა საწვრთნელი მატჩი: თბილისის დინამოელებმა თავიანთ ლენინგრადელ თანაკლუბელებს უმასპინძლეს.

ლენინგრადის "დინამო" "ა" კლასის I ლიგის ერთ–ერთით საუკეთესო კოლექტივია. კერძოდ, შარშანდელ გათამაშებაში მან მოწინავე ჯგუფში დაიმკვიდრა ადგილი. ამდენად ამ სპარინგ–მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთის მოყვარულთა შორის უმაღლესი ლიგის გუნდების კალენდარულ შეხვედრებსაც კი მუდამ არა ჰყავს იმდენი მაყურებელი, რამდენიც ამ მატჩს დაესწრო.

თამაშმა ძირითადად გაამართლა მოლოდინი. განსაკუთრებით საინტერესო იყო მეორე ტაიმი, როცა ორივე გუნდის კართან არაერთი კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. თბილისელებს ჯერ კიდევ შესვენებამდე შეეძლოთ წარმატების მოპოვება, მაგრამ კუტივაძის მაჩაიძისა და ლ. ნოდიას დარტყმებმა მიზანს ვერ მიაღწია. ანგარიში გაიხსნა 48–ე წუთზე, როცა გავაშელმა კარგად გამოიყენა მეტრეველის გადაცემა –1:0. წუთის შემდეგ გოვორუნოვმა ხელიდან გაუშვა საპასუხო ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, რომელიც მასპინძელთა კართან შეიქმნა მცველთა უხეში შეცდომის შედეგად.

შუა ტაიმში მასპინძელთა დაცვაში კვლავ იქნა დაშვებული შეცდომა და იმავე გოვორუნოვის დარტყმამ ამჯერად მიზანს მიაღწია –1:1.

მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ლენინგრადელთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. კუტივაძემ თავის ჩვეულებას არ უღალატა და სტუმრების კარი მეორედ იქნა აღებულ –2:1.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: თბილისი – ურუშაძე, რეხვიაშვილი, ებრალიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, მაჩაიძე, მეტრეველი, გავაშელი, ლ. ნოდია, ლენინგრადი – რეშეტნიკოვი, ბელოვი, კოპინი, ბასკაკოვი, კოჩეტოვი, ეფიმოვი, ევსეევი, ლისიჩკინი, ნიკოლაევი, გოვორუნოვი, სოლოვიოვი.

მატჩს სჯიდა საკავშირო კატეგორიის არბიტრი ა. მილჩენკო (სოხუმი).

რ. ქორიძე

ლელო 23 თებერვალი 1971 წ.